ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

მონიტორინგის და მოკვლევის ძირითადი ასპექტები

2024

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სამსახურის მიერ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიმართ განხორციელებული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა (შემდგომ - მონიტორინგი) და აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიმართ საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული მოკვლევის (შემდგომ - მოკვლევა) ძირითადი ასპექტების შესახებ.

დოკუმენტში ზემოაღნიშნულ ორივე პროცესთან (მონიტორინგი/მოკვლევა) მიმართებით ასახულია ინფორმაცია თუ რა შეიძლება იყოს მონიტორინგის/მოკვლევის დაწყების საფუძველი, რა ვადებში ხორციელდება თითოეული მათგანი და რა ეტაპებს მოიცავს თითოეული პროცესი დაწყებიდან საბოლოო შედეგების რეესტრში ასახვამდე.

მონიტორინგის სახეები

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების მიერ განხორციელებული აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად სამსახური ატარებს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს, სრულად ან თემატურად.

ხარისხის მართვის სისტემის სრული მონიტორინგი

ა) კანონით დადგენილ ვადებში;

სამსახური ახორციელებს აუდიტორული ფირმების/აუდიტორების ხარისხის მართვის სისტემის სრულ მონიტორინგს კანონით დადგენილ ვადებში (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**)

ან

ბ) მონიტორინგი რისკზე დაფუძნებული მიდგომით - ვადის დადგომამდე;

იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის მიერ გამოვლინდება ისეთი გარემოება, რომელიც წარმოშობს რისკს, რომ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ განხორციელებული სამუშაოს ხარისხი შესაძლოა აღარ შეესაბამებოდეს მის მოქმედ შეფასების კატეგორიას ან იდენტიფიცირდა ისეთი რისკები, რაც საჭიროებს აუდიტორული ფირმის/აუდიტორის სრული მონიტორინგის ჩატარებას, სამსახური იწყებს რისკზე დაფუძნებულ სრულ მონიტორინგს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**)

ან

გ) აუდიტორული ფირმის/აუდიტორის ინიციატივით.

აუდიტორული ფირმა/აუდიტორი უფლებამოსილია, შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, საკუთარი ინიციატივით მიმართოს სამსახურს მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**)

ხარისხის მართვის სისტემის თემატური მონიტორინგი

ა) მოიცავს ხარისხის მართვის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 2**);

ან

ბ) ცალკეული გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებულ გარიგებებს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 2**).

ხარისხის მართვის სისტემის სრული მონიტორინგის პროცესი

მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელების ვადები/დრო	ვინ ექვემდებარება / რისკის ინდიკატორები	მონიტორინგის პროცესი
კანონით დადგენილ ვადებში	სულ მცირე 3 წელიწადში ერთხელ	აუდიტორული ფირმა/აუდიტორი, რომელიც სდპ-ისა და პირველი კატეგორიის საწარმოს აუდიტს ატარებს	
	სულ მცირე 6 წელიწადში ერთხელ	ყველა აუდიტორული ფირმა/აუდიტორი, გარდა იმ აუდიტორული ფირმისა/აუდიტორისა, რომელიც სდპ-ისა და პირველი კატეგორიის საწარმოს აუდიტს ატარებს	
მონიტორინგის დაწყება რისკზე დაფუძნებული მიდგომით	ნებისმიერ დროს, რისკის შეფასებიდან გამომდინარე	**რისკის ინდიკატორები:** • ეთიკის კოდექსთან (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან) შესაძლო შეუსაბამობა • წინა, სრული მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზები • თემატური მონიტორინგის შედეგები • მოკვლევის შედეგები • გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების რაოდენობა • აუდიტორული გარიგების არამართლზომიერი საზღაური • მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის არასახარბიელო ისტორია • ანგარიშგების პორტალზე დადასტურებული ანგარიშგებების ხარისხი • აუდიტორული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ზრდა • მოსაზრების გამოთქმაზე გაცემული უარის რაოდენობა • შემოსული საჩივრები • მარეგულირებელი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ფირმის/აუდიტორის შესახებ • კანონმდებლობასთან შეუსაბამობა • სხვა მსგავსი ინდიკატორები	მონიტორინგის დაწყების ბრძანება / მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა* ↓ აუდიტორულ ფირმასთან/აუდიტორთან კომუნიკაცია და შერჩეული გარიგებების შესახებ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა* ↓ მონიტორინგის ძირითადი პროცედურები ↓ შეხვედრები მონიტორინგის ჯგუფთან ↓ წინასწარი შედეგების მომზადება და აუდიტორული ფირმისთვის/ აუდიტორისთვის წარდგენა
მონიტორინგის დაწყება აუდიტორის / აუდიტორული ფირმის ინიციატივით	განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კანონით / მონიტორინგის წესით განსაზღვრულ ვადებში		

აუდიტორული ფირმის/აუდიტორის პოზიცია
↓
შეხვედრა დეპარტამენტის უფროსთან
↓
საბოლოო შედეგების მომზადება და დეპარტამენტის უფროსისთვის განსახილველად წარდგენა
↓
მონიტორინგის შედეგების შესახებ დეპარტამენტის უფროსის ბრძანება/ბრძანების და საბოლოო შედეგების ადრესატთან გაგზავნა
↓
საბოლოო შედეგების რეესტრში ასახვა

□ შეხვედრა აუდიტორული ფირმის/აუდიტორის სურვილის შემთხვევაში

* სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან და სავალდებულო შეხვედრებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარმოადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია და დაესწროს სამსახურის მიერ მოთხოვნილ შეხვედრებს, სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ან სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ მოხდება სავალდებულო შეხვედრებზე დასწრება) სამსახური ვალდებული იქნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია - ფულადი ჯარიმა ან/და რეესტრიდან ამოღება. აუდიტორული ფირმების/აუდიტორების წინასწარ ინფორმირების მიზნით, სამსახურის მიერ გასაჯაროებულია ის ცხრილური ფორმა, რომლის შევსებასაც სამსახური ითხოვს მონიტორინგის დაწყებისას (იხ. ბმული).

ხარისხის მართვის სისტემის თემატური მონიტორინგის პროცესი

მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელების ვადები/დრო	ვინ ექვემდებარება / რისკის ინდიკატორები	მონიტორინგის პროცესი
თემატური მონიტორინგი	ნებისმიერ დროს		

თემატურ მონიტორინგს ექვემდებარებიან აუდიტორული ფირმები, აუდიტორები

თემატური მონიტორინგი მოიცავს:

ხარისხის მართვის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად, ასევე, აუდიტორული ფირმისათვის მომდევნო მონიტორინგის ვადის დადგომამდე ცალკეული გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების მონიტორინგს

რისკის ინდიკატორები:

- ეთიკის კოდექსთან (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან) შესაძლო შეუსაბამობა
- წინა, სრული მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზები
- მოკვლევის შედეგები
- გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების რაოდენობა
- აუდიტორული გარიგების არამართლზომიერი საზღაური
- მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის არასახარბიელო ისტორია
- ანგარიშგების პორტალზე დადასტურებული ანგარიშგებების ხარისხი
- აუდიტორული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ზრდა
- მოსაზრების გამოთქმაზე გაცემული უარის რაოდენობა
- შემოსული საჩივრები
- მარეგულირებელი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ფირმის/აუდიტორის შესახებ
- კანონმდებლობასთან შეუსაბამობა
- სხვა მსგავსი ინდიკატორები

მონიტორინგის პროცესი

1. თემატური მონიტორინგის დაწყების ბრძანება / თემატური მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა*
2. აუდიტორულ ფირმასთან/აუდიტორთან კომუნიკაცია და შერჩეული გარიგებების შესახებ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა*
3. მონიტორინგის ჯგუფთან კომუნიკაცია და მოთხოვნილი ინფორმაციის / დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა*
4. მონიტორინგის ძირითადი პროცედურები
5. შეხვედრები მონიტორინგის ჯგუფთან
6. წინასწარი შედეგების მომზადება და აუდიტორული ფირმისთვის/ აუდიტორისთვის წარდგენა
7. აუდიტორული ფირმის/აუდიტორის პოზიცია
8. შეხვედრა დეპარტამენტის უფროსთან
9. საბოლოო შედეგების მომზადება და დეპარტამენტის უფროსისთვის განსახილველად წარდგენა
10. მონიტორინგის შედეგების შესახებ დეპარტამენტის უფროსის ბრძანება/ბრძანების და საბოლოო შედეგების ადრესატთან გაგზავნა
11. საბოლოო შედეგების რეესტრში ასახვა

შეხვედრა აუდიტორული ფირმის/აუდიტორის სურვილის შემთხვევაში

* სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან და სავალდებულო შეხვედრებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარმოადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია და დაესწროს სამსახურის მიერ მოთხოვნილ შეხვედრებს, სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ან სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ მოხდება სავალდებულო შეხვედრებზე დასწრება) სამსახური ვალდებული იქნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია - ფულადი ჯარიმა ან/და რეესტრიდან ამოღება.

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები

მოკვლევის პროცესი

მოკვლევის დანიშნულება:

აუდიტორული მომსახურების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით სამსახური აუდიტორული ფირმების/აუდიტორების მიმართ ატარებს მოკვლევას.

მოკვლევასა და მონიტორინგის შორის განსხვავება:

მოკვლევასა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს შორის არის განსხვავებები, რაც ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

ა) მონიტორინგის განხორციელებისას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, პროცესი სრულდება აუდიტორული ფირმისთვის/აუდიტორისთვის ხარისხობრივი კატეგორიის განსაზღვრით/უფლებამოსილების მინიჭებით, რასაც შესაძლოა პროცესში გამოვლენილი დარღვევებისთვის თან ახლდეს საჯარიმო სანქციები აუდიტორული ფირმისთვის/აუდიტორისთვის. მოკვლევის განხორციელებისას კი აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს არ განესაზღვრება ხარისხობრივი კატეგორია / არ ენიჭება უფლებამოსილება, თუმცა სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ხდება შესაბამისი სანქციის გამოყენება;

ბ) მონიტორინგი სრულად მოიცავს ხმსს 1-თან, ხმსს 2-თან, ასს-ებთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან (მათ შორის ეთიკის მოთხოვნებთან) შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო მოკვლევა შესაძლოა ემსახურეობოდეს ერთი ან რამოდენიმე მიზნის შესრულებას, მათ შორის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან აუდიტორული ფირმის / აუდიტორის შესაბამისობის შემოწმების მიზანს, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების/გამოვლენის მიზანს;

გ) მოკვლევა შესაძლოა მიემართებოდეს ერთდროულად რამოდენიმე აუდიტორულ ფირმას / აუდიტორს. (დამატებითი ინფორმაციისთვის, მათ შორის მოკვლევის პროცესის აღწერისთვის იხილეთ **დანართი 3**)

მოკვლევის პროცესი

მოკვლევის ინიცირების ვარიანტები	მოკვლევის განხორციელების ვადები / დრო	ვინ ექვემდებარება / მოკვლევის დაწყების საფუძვლების არასრული ჩამონათვალი	მოკვლევის პროცესი
ა) მოკვლევა სამსახურის ინიციატივის საფუძველზე, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, როცა არსებობს გონივრული ეჭვი კანონდარღვევის არსებობის თაობაზე	შესაძლოა დაიწყოს ნებისმიერ დროს, ხოლო ყველა საჭირო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სრულდება არაუგვიანეს 3 თვეში. მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სამსახურის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე.	აუდიტორული ფირმა | აუდიტორი **მოკვლევა შესაძლოა ემსახურებოდეს ერთი ან რამოდენიმე ამოცანის შესრულებას, მათ შორის:** • შემოწმდეს აუდიტორული მომსახურების გაწევისას ფირმის/აუდიტორის მიერ შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაცვა (ასს (ISA) | მგსს (ISRE) | მგსს (ISAE) | დმსს (ISRS)); • შემოწმდეს ხმსს 1-ის და ხმსს 2-ის მოთხოვნების დაცვა; • შემოწმდეს ეთიკის მოთხოვნების დაცვა; • მოხდეს სამართალდარღვევათა თავიდან აცილება/გამოვლენა; • და სხვა.	მოკვლევის დაწყების ბრძანება / მოკვლევისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა* ↓ აუდიტორულ ფირმასთან/აუდიტორთან კომუნიკაცია და აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ მოკვლევის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა* ↓ მოკვლევის ძირითადი პროცედურები (რაც შესაძლოა ასევე მოიცავდეს ინფორმაციის გამოთხოვას ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისგან ან/და ადმინისტრაციული ორგანოსგან, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული/მიღებული მომსახურება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი)
ბ) მოკვლევა დაინტერესებული პირის განცხადების ან / და საჩივარის საფუძველზე, როცა არსებობს გონივრული ეჭვი კანონდარღვევის არსებობის თაობაზე	განცხადება/საჩვარი განიხილება და მოკვლევის დაწყების/მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება 1 თვის ვადაში, ხოლო ყველა საჭირო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სრულდება არაუგვიანეს 3 თვეში. მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სამსახურის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე.		შეხვედრები მოკვლევის ჯგუფთან. აუდიტორული ფირმის / აუდიტორის მიერ პოზიციის წარმოდგენა ↓ მოკვლევის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილების აუდიტორული ფირმისთვის / აუდიტორისთვის წარდგენა ↓ მოკვლევის შედეგად აუდიტორული ფირმისთვის / აუდიტორისთვის სანქციის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის არანაკლებ 5 წლის ვადით სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნება

* მოკვლევაში მონაწილე პირი ვალდებულია სამსახურს მოაწოდოს მოკვლევის პროცესისთვის მნიშვნელოვანი სრული და უტყუარი ინფორმაცია ან/და მის ხელთ არსებული შესაბამისი დოკუმენტები ან/და სხვა რაიმე მტკიცებულება, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში ინფორმაციის ან/და შესაბამისი დოკუმენტების ან/და სხვა მტკიცებულების მოუწოდებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონის 23-ე და 24-ე მუხლებით დადგენილი წესით.

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები

სხვა საცნობარო ინფორმაცია

~~ხკსს 1~~
(ძალადაკარგული)

2022 წლის 15 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები:
ხმსს 1
ხმსს 2

შესაბამისად, გადაისინჯა
ასს 220
სტანდარტი

ხმსს 1 - ფირმას ავალდებულებს, უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ხარისხის მართვის მიზნით. ფირმის ხარისხის მართვის სისტემა ქმნის გარემოს, რომელიც გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს გარიგება შეასრულონ მაღალი ხარისხით.

ხმსს 2 - გარიგების ხარისხის მიმოხილვები ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილია. ხმსს 2 ეფუძნება ხმსს 1-ს და აწესებს კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება:

- გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნასა და უფლებამოსილებას;
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებას; და
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციას.

ასს 220 (გადასინჯული) - ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობას გარიგების დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებით და ასევე გარიგების პარტნიორის შესაბამის პასუხისმგებლობას. ეს სტანდარტი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.

2023 წლის 31 მარტიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA code) 2022 წლის გამოცემა

2023 წლის 30 მაისიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის 2021 წლის გამოცემა

ბმულები

https://www.saras.gov.ge/Content/files/ISQM_1_2021.pdf
https://www.saras.gov.ge/Content/files/ISQM_2_2021.pdf
https://www.saras.gov.ge/ka/FinAudit/Pdf/739
https://www.gfpaa.ge/site/files/gamocemebi/daergvis%20sax.1.pdf
https://gfpaa.ge/site/files/gamocemebi/xar.marTv.stand.2.2.pdf
https://gfpaa.ge/site/files/gamocemebi/220%20gadasinjuli.pdf
https://www.saras.gov.ge/Content/files/IESBA_CODE_2022_GEO.pdf
https://www.saras.gov.ge/Content/files/IAASB_HB_VOL_1_2021_GEO.pdf
https://www.saras.gov.ge/Content/files/IAASB_HB_VOL_2_2021_GEO.pdf
https://www.saras.gov.ge/Content/files/IAASB_HB_VOL_3_2021_GEO.pdf

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები